

საჯარო შესყიდვები

276	სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი და ინსტიტუციური ცვლილებების საჭიროების იდენტიფიცირება	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	2015	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მოთხოვნით მოხდა SIGMA-ს (ევროკავშირისა და OECD-ის ერთობლივი ინიციატივა) ტექნიკური დახმარების ინიცირება. ტექნიკური დახმარება ითვალისწინებდა ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის შემუშავების მხარდაჭერას. აღნიშნული დახმარების ფარგლებში 2014 წელს უკვე განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვების არსებული სისტემის, პრაქტიკისა და კანონმდებლობის შესაბამისობის ანალიზი DCFTA-ს მიერ გათვალისწინებულ სახელმწიფო შესყიდვების ძირითად სტანდარტებთან და ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან. აღნიშნული წარმოადგენს სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის პირველ ეტაპს. ანალიზის საფუძველზე მარეგულირებელი და ინსტიტუციური ცვლილებების საჭიროებების განსაზღვრა მოხდება ყოვლისმომცველ სამოქმედო გეგმაში 2015 წლის ბოლომდე.
277	ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის შემუშავება და მიღება, რათა მოხდეს საკანონმდებლო დაახლოების იმპლემენტაცია, ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართის XVI-B თანახმად	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	2015	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	ზემოთაღნიშნულის თანახმად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შეიქმნა საკანონმდებლო დაახლოების ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის შემუშავებელი სამუშაო ჯგუფი (რომელსაც სააგენტოს თავმჯდომარეს მოადგილე ზ.ნანობაშვილი ხელმძღვანელობს). სამუშაო ჯგუფი მოამზადებს წინადადებებს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის ნორმების ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან ეტაპობრივი დაახლოების მიზნით.  ამჟამად განხორციელებულია ხსენებული ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის შემუშავების პირველი ეტაპი (AA National Action Plan-ის 276 პუნქტით გათვალისწინებული აქტივობა). სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს აქტიურად მუშაობს დონორებთან (UNDP,

					<p>GIZ) ტექნიკური დახმარების ფარგლებში დაფინანსების მოსაპოვებლად, სამოქმედო გეგმის შემუშავებაში საერთაშორისო ექსპერტის (შესაბამისი კვალიფიკაციის ერთი ევროპელი ექსპერტის ჩართვის) უზრუნველყოფის მიზნით.</p> <p>გარდა ამისა, SIGMA-სთან მოლაპარაკების შედეგად, რომელიც გაიმართა 2015 წლის ივნისში, მოხდა შეთანხმება SIGMA -სთან შემდგომი თანამშრომლობის გაგრძელებაზე. კერძოდ, SIGMA ასევე ტექნიკური დახმარების ფარგლებში მოახდენს DCFTA-თ გათვალისწინებული სამოქმედო გეგმის განხილვას/გადახედვას/რედაქტირებას. ასევე SIGMA-ს მიერ მოხდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის ხელშეწყობის მიზნით, მათ შორის ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების გზით.</p>
278	ტრენინგები საქართველოს სახელისუფლებო ორგანოების და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის, რომლებიც ახორციელებენ საჯარო შესყიდვებს	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	2015	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	<p>სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში, 2015 წლის იანვრიდან მოყოლებული დღემდე, ტრენინგი ჩატარდა საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებების, სამინისტროების, ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების, სსიპ-ების, საჯარო სკოლების და ქვეყნის რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციების თანამშრომლებს - ჯამში 246 წარმომადგენელს, რომლებიც ყოველდღიურად ახორციელებენ სახელმწიფო შესყიდვებს.</p> <p>სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (Open Government Partnership – OGP) ფარგლებში, „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესი და პირობები“-ის გაცნობის მიზნით, საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები ჩატარა თბილისის და თბილისთან ახლოს მდებარე მუნიციპალიტეტების, იმერეთისა და აჭარის რეგიონების სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებთან.</p>

279	სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის მიღებით დაინტერესებული მიმწოდებლებისთვის სემინარის ჩატარება	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	2015	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	<p>2015 წლის 4 მაისიდან 15 მაისის ჩათვლით, სახელმწიფო შესყიდვების სასწავლო ცენტრში, ტრეინინგი გაიარა სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობით დაინტერესებულმა 38 მიმწოდებელი ბიზნეს-კომპანიების წარმომადგენელმა. აღნიშნული ტრეინინგი განხორციელდა მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით.</p> <p>2015 წლის 26 ივნისს შესყიდვების სააგენტომ საინფორმაციო შეხვედრა გამართა ბიზნესს ორგანიზაციების 30 წარმომადგენელთან, რომლებიც სამუშაოს აწარმოებენ დასავლეთ საქართველოში, იმერეთში. შეხვედრა გაიმართა ქალაქ ქუთაისში.</p> <p>2015 წლის 10 ივლისს, შესყიდვების სააგენტომ საინფორმაციო/საკონსულტაციო შეხვედრები გამართა აჭარაში მოღვაწე ბიზნესს ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. შეხვედრა გაიმართა ბათუმში, რომელსაც ესწრებოდა ბიზნესს სექტორში მომუშავე 50 წარმომადგენელი .</p>